არტპროექტი „პორტალი“ (ზვოლე, ნიდერლანდები) - თანამედროვე ხელოვნების ლოკალური კონტექსტების წარმოჩენა დროში მოგზაური ხელოვნების მარშრუტის შექმნის გზით

ეკატერინა კენიგსბერგი

საკვანძო სიტყვები: *რამ კაცირი, პორტალი, ზვოლე, მხატვარი, საგნობრივად ორიენტირებული, ინსტალაცია, პროექტი*

წინამდებარე სტატიაში გამოკვლეულია არტპროექტი „პორტალი“, რომელიც განხორციელდა 2016-2021 წლებში ქალაქ ზვოლეს (ნიდერლანდები) საჯარო სივრცეში. ამ პროექტის ავტორები: მხატვარი რამ კაცირი და მხატვართა დუეტი „ჰერტოგ ნადლერი“ უშუალოდ მიმართავენ დამთვალიერებელს, ამყარებენ კომუნიკაციას მასთან და მოუწოდებენ ციფრულ ერაში დროის ფენომენის გაცნობიერებისკენ, რა პროცესშიც არ ირღვევა კავშირი „არაციფრულ“ და „ციფრულამდე არსებულ“ კულტურებთან, ასევე მოსინჯულია შორეული წარსულის სხვადასხვა ასპექტი, დღევანდელობა და წარმოსახვითი მომავალი - თაობათა და ეპოქათა გზაჯვარედინი.

საგნობრივად ორიენტირებული 4-კილომეტრიანი ინსტალაცია „პორტალი“ მდებარეობს ზვოლეში (ნიდერლანდები).[1] ეს პროექტი, რომელიც განხორციელდა 2016-2021 წლებში, შედგება პანორამული ვიდეო ინსტალაციისგან ზვოლეს სადგურში, სკულპტურათა რიგისგან ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ გზაზე და ცისფერი ბრინჯაოს ზოლისგან, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს პროექტის ნაწილებს. პროექტის ავტორია რამ კაცირი, ნიდერლანდებში მცხოვრები და მომუშავე ისრაელელი მხატვარი.[2] მისი ნამუშევრებისა და პროექტების კონცეპტუალური კომპონენტი ეფუძნება მეხსიერების თემის გაცნობიერებას, რა დროსაც გათვალისწინებულია ისტორიული და სოციოკულტურული კონტექსტები, იქმნება წარმოსახვითი სამყაროები, რომლებშიც თანაბრადაა გაერთიანებული ნაცნობი და უცნობი, ტრაგიკული და კომიკური, ახლო და შორი, წარსული და აწმყო. პროექტის ინტერაქტიური ვიდეო ინსტალაცია შექმნა რამ კაცირმა ამსტერდამში მოღვაწე მხატვრების დუეტთან „ჰერტოგ ნადლერი“ - ჰაია ჰერტოგსა (ნიდერლანდები) და ნირ ნადლერთან (ისრაელი)[3] - თანამშრომლობით, რომლებიც თავიანთ ვიზუალურ პროექტებში ასახავენ ადგილობრივ ისტორიებს, ლანდშაფტებს, მითებსა და ლეგენდებს.

ეს მხატვრები თავიანთი პროექტის კურატორებიც არიან, რაც საკმაოდ ტიპურია თანამედროვე სახვითი ხელოვნებისთვის. ამ გზას აქტიურად მიმართავენ კონცეპტუალური ორიენტაციის ავტორები, რომლებიც თავიანთ მხატვრულ პრაქტიკაში იყენებენ კურატორობის მიდგომებს. პროექტის კურატორობის სტრატეგია შეიძლება აღვიქვათ, როგორც აწმყოს კონტექსტების შესწავლა - კვლევის პრობლემების მიმართულება მდგომარეობს თანამედროვე ხელოვნების ლოკალური კონტექსტების რეპრეზენტაციაში.[4]

„პორტალი“ წარმოადგენს პერმანენტულ მხატვრულ მარშრუტს, რომლის გაყოლებაზეც ცხოვრე-

1 Portal.
2 Ram Katzir.
3 Hertog Nadler.
4 Kenigsberg, Curatorial, 2023.

ბა სხვადასხვა ეპოქაში ერთმანეთს კვეთს. მას არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო, და მასში ჩართვა შესაძლებელია ნებისმიერ წერტილში. სტუმართა უმრავლესობა მოგზაურობას იწყებს ზვოლეს რკინიგზის სადგურიდან, რომელიც წარმოადგენს როგორც ერთგვარ საწყის წერტილს, ისე საბოლოო დანიშნულების პუნქტს. ახალ გვირაბში, რომელიც ერთმანეთთან აერთებს სხვადასხვა მიწისქვეშა პლატფორმას, ერთ-ერთ კედელში ჩაშენებულია LED ეკრანი. მასზე გამოსახულია პანორამული ინტერაქტიური ვიდეო ინსტალაცია „დროის გვირაბი" (2016 წელი, მაღალი რეზოლუციის ხმოვანი ვიდეო, 244 წუთი, 192x528 სმ.).

2015 წელს 500-ზე მეტი ადგილობრივი მაცხოვრებელი შერჩეული იყო ვიდეოში „დროის გვირაბი" გადასაღებად. ისინი ასრულებდნენ დროში მოგზაურების როლს სხვადასხვა პერიოდში, დაწყებული შუა საუკუნეებით და დამთავრებული დღევანდელი დღით. შედეგად, ზვოლეში თითქმის ყველა იცნობს ვიღაცას, ვინც ვიდეოში ჩანს ან მის შექმნაში იყო ჩართული, რასაც წვლილი შეაქვს ადგილობრივი თემის ერთიანობაში, თანამედროვე ხელოვნების ნიმუშის შექმნაში ზვოლეს მაცხოვრებელთა ჩართულობაში და მთლიანობაში „ხელოვნების მარშრუტის" აღიარებაში.

ვიდეოს გადაღება მიმდინარეობდა თავად მიწისქვეშა გვირაბში, რითაც ეს პუნქტი ტრანზიტული მარშრუტის გაყოლებაზე იქცა პირობით დანიშნულების ადგილად. ფილმის საბოლოო ვერსია, რომელიც 4 საათს გრძელდება, შედგება მოკლე კლიპებისგან, რომელთაც აქვთ ერთი და იგივე დასაწყისი და ბოლო, ხოლო მათი თანმიმდევრობა შემთხვევითობის პრინციპით არის დამონტაჟებული. შედეგად, უზრუნველყოფილია კლიპებს შორის უწყვეტი, ჰარმონიული კავშირი, ხოლო მაყურებელი, რომელიც უყურებს ვიდეოს მხოლოდ გარკვეულ ფრაგმენტს, მხოლოდ თავის საკუთარ მოგზაურობაში გადის გზას.

ვიდეო ინსტალაციაში გამოხატული პოზიცია გულისხმობს ვირტუალურისა და რეალურის კომბინაციას, კომუნიკაციას ერთსა და იმავე სივრცეში დროის პარალელურ კოორდინატებზე მყოფ მგზავრთა და პერსონაჟთა შორის. ვიდეოს არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო, გამოსახულებები ერთმანეთს ენაცვლება, უძველესი ერწყმება უახლესს, ამჟამინდელი გაჯერებულია წარმოსახვითი თუ რეალური წარსულის სურათებით: ზვოლეს მაცხოვრებლები ყოველდღიურ სიტუაციებში, ფეხბურთის ფანატები ნარინჯისფერ მაისურებში, 1930-იანი წლების ბოლოს და 1940-იანი წლების დასაწყისის ფოტოები, ესკალატორზე მდგარი ებრაელები ყვითელი დავითის ვარსკვლავით მკერდზე, ჩემოდნებით ხელში, სამუდამო გადასახლებაში მიმავალნი, ჩვეულებრივი მგზავრები, რაინდებსა თუ რომაელ ჯარისკაცებთან ერთად, კაცი და ქალი ცხენებზე, კაცი ძველი სტილის ველოსიპედზე, რომელსაც უზარმაზარი წინა ბორბალი ამშვენებს, მწყემსი თავისი სამწყსოთი და ბავშვები სკეიტბორდზე, თურქი ქალების ჯგუფი სახასიათო ტანისამოსში და ტყავებში გამოწყობილი პრიმიტიული ადამიანის ოჯახი, მბზინავი რობოტები, კოფეინს რომ არიგებენ ყავის ნაცვლად, და ასე შემდეგ.

გვირაბის ჭერის გარკვეულ სექციებში დამაგრებული დინამიკებიდან ისმის ფილმის ფონოგრამა, რომელსაც ერწყმება სადგურის რეალური ხმები და მატარებლების ჩამოსვლისა თუ გასვლის შესახებ ხმოვანი განცხადებები. ვიდეოს შემქმნელს უნდოდა ფონოგრამაში გამოგონილი განცხადებების შეტანა: მაგალითად, პრეისტორიული მატარებელი იგვიანებს 5 წლით, ან ბრინჯაოს ხანის მატარებელი გადის რამდენიმე წამში მე-3 ლიანდაგიდან, ან მატარებელი აყოვნებს მამონტთან შეჯახების გამო. მაგრამ რკინიგზის მმართველმა კომპანიამ ჩათვალა, რომ ამ სახის განცხადებები შეცდომაში შეიყვანდა მგზავრებს. ასე რომ, ფონოგრამის სრული ვერსია ხელმისაწვდომია მხოლოდ „პორტალის" ვებგვერდზე, ხმოვან პუნქტებზე მარშრუტის გაყოლებაზე.

მიწისქვეშა გვირაბი, რომელშიც მგზავრები ყოველთვის ჩქარობენ, რათა მიუსწრონ თავიანთ მატარებლებს, იქცევა არა მხოლოდ პუნქტად დანიშნულების ადგილისკენ მიმავალი გზაზე, არამედ პორტალადაც, სადაც თაობები და ეპოქები ერთმანეთს ხვდებიან. ინსტალაციის ავტორები უყურებენ ამას, როგორც სარკეს, რომელიც მგზავრებს აძლევს დროში ვირტუალურად მოგზაურობის საშუალებას: გვირაბში ადამიანი თითქოს სარკეში ხედავს აწმყოში, წარსულსა და მომავალში მცხოვრებთ.

ხელოვნების მარშრუტის შემდეგი პუნქტს ეწოდება Swol (2021 წელი, ანტიკური აგური, თითბერი, მინა, LED განათება, სესნსორები, 200x225x300 სმ.). იგი მდებარეობს სადგურის შენობის მოპირდაპირე მხა-

რეს და წარმოადგენს ანტიკური აგურით აშენებულ ხელოვნურ გორაკს ჩაშენებული ვიწრო მართკუთხა ფანჯრით. გორაკის შიგნით მდებარეობს ტიპური მიწისქვეშა რკინიგზის სადგურის ბაქანი გუმბათოვანი ჭერით და სახასიათო თეთრი აგურებით მოპირკეთებული კედლებით. ერთი მოსახვევიდან გამოდის ლიანდაგების კლაკნილი ხაზი და უჩინარდება მეორე მოსახვევში. ბეტონის ნაცრისფერ იატაკზე ვხედავთ სადგურს ხის სკამებითა და ლითონის ურნებით. კედელზე ჩანს ცისფერი აბრა, რომელზეც sans-serif შრიფტით თეთრად წერია Swol. ბაქნის შორეული კუთხეები განათებულია ცისფერი LED ნათურებით. ყველაფერი აბსოლუტურად ავთენტურია, ოღონდ მინიატიურულ ზომებში. ეს ხელოვნების ნიმუში შერწყმულია გარემოსთან როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. თავად სადგური გამოიყურება, როგორც იგი შეიძლება ყოფილიყო 50 ან 100 წლის წინ, ან სულაც დღევანდელ თანამედროვეობაში.

ამ ნამუშევრის იდეა ეყრდნობა ისტორიულ ფაქტს. ქალაქი ზვოლე გაშენებულია ოვალურ გორაკზე ჭაობების შუაგულში და წარმოადგენს ერთადერთ არეს, რომელიც სეზონურად არ არის დატბორილი. ამ გორაკს ეწოდება სოლე, რომელიც გარკვეულ ეტაპზე გარდაიქმნა სიტყვად „ზვოლე“. ამ ნიმუშის ხელოვნური გორაკის ფორმა და სახელი წარმოადგენს ალუზიას უძველეს ხანაზე, ხოლო მიწისქვეშა სადგური - ქალაქში მიწისქვეშა გვირაბების შესახებ არსებულ ხმებსა და ლეგენდებზე.

შემდეგი სადგური ხელოვნების მარშრუტის გაყოლებაზე გახლავთ „ქალაქის ბეჭედი“ (2016 წელი, ბრინჯაო, 10x250x220 სმ.): ბრინჯაოს უზარმაზარი, სამგანზომილებიანი, მრგვალი რელიეფი, ჩასმული გზის საფარის სიბრტყეში ქალაქის ორი ქუჩის გზაჯვარედინზე, როგორც ურბანული სივრცის სახე, დაწყებული უძველესი დროიდან და დამთავრებული Google Maps-ის დღევანდელობითა და წარმოსახვითი მომავლით. რელიეფის გარე წრეზე ამოტვიფრულია ტექსტი - „მომავალს ხანგრძლივი ისტორია აქვს“ იმ ოთხი ერის ენაზე, რომლებიც ამ მიწაზე ოდესმე ცხოვრობდნენ: ჰოლანდიურად, ფრანგულად, გერმანულად და ესპანურად.

ხელოვნების მარშრუტი შემდგომ მიედინება სასეირნო სივრცის გაყოლებაზე და იყოფა ორ - მარცხენა და მარჯვენა ნაწილად. თითოეული სექციის ბოლოს მდებარეობს „აუდიოსკოპი“ (2016 წელი, შერეული მედია, ხმა, 165x38x38 სმ.) ორი იდენტური ხმოვანი სკულპტურა, აღჭურვილი სამი საყვირით, რაც წარმოადგენს ალუზიას ჩასაბერ ინსტრუმენტებზე ზოგადად. „აუდიოსკოპი“ ახმოვანებს დროის ერთგვარ ფრაგმენტებს - დაახლოებით ორი საათის ხანგრძლივობის მუსიკალურ კლიპებს, რომლებიც უკუღმადაა დაკრული შემთხვევითობის პრინციპით აქტივირებული სენსორების მეშვეობით. თითოეული საყვირით იქმნება ინდივიდუალური ხმოვანი ფრაგმენტი. ყველაზე დაბალი რეესტრის საყვირი უკრავს მუსიკას სხვადასხვა ეპოქიდან: შუასაუკუნოვან ბალადებს და ხელოვნურად შექმნილ მელოდიებს, ბაროკოსა და კლასიკურ ჯაზს, როკოკოს სტილის კანცონას და თანამედროვე რიტმებს. შუა რეესტრის საყვირი აჟღერებს სპეციალურად მომზადებულ ისტორიებს და განცხადებებს (მაგალითად, როგორ დაიცვა ქალაქის მფარველმა - მთავარანგელოზმა მიქაელმა ზვოლე ურჩხულისგან, ან როგორ დააგვიანდა ბრინჯაოს ხანის მატარებელს გარეულ ცხოველთან შეჯახების გამო), მუსიკას კინოფილმებიდან, კინოქრონიკას და სხვა საარქივო მასალას. ზემო რეესტრის საყვირი კითხულობს პოეზიას, პროზას და ქალაქ ზვოლესა და მისი შემოგარენის სიახლეებს. შედეგად მიღებული კაკაფონია ქმნის ხმოვანი ლანდშაფტის მრავალ შრეს, რომლებიც მოიცავს საუკუნეებსა და ეპოქებს, აერთიანებს რა წარსულსა და აწმყოს. ცხადია, დამთვალიერებელს და მსმენელს მეტი დრო სჭირდებათ, რათა გაითავისონ ხელოვნების მარშრუტის ეს და სხვა პუნქტები, ისინიც კი, რომლებიც აღსაქმელად უფრო მარტივი და იოლია.

„ცისფერი ხაზი“ (2016/2021 წელი, სიგრძე: 393 მ.) აერთიანებს ხელოვნების მარშრუტის ყველა წერტილს. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს კლაკნილ მონაკვეთს ტროტუარზე გამოსახული წვრილი ცისფერი ხაზებით. მის გაყოლებაზე ვხედავთ ბრინჯაოს 19 ლუკს (დიამეტრი: 25-60 სმ.), რომლებიც განასახიერებენ ტროტუარის სიღრმეში ჩამავალ დროის სპირალს. „ცისფერი ხაზის“ შთაგონების წყაროა ქალაქ ზვოლეს ძველი რუკები და მდინარე აას ამსახველი ნახატები. თავად „ცისფერი ხაზიც“ ამ მდინარის წყლებს მოგვაგონებს და მიედინება სადგურიდან ქალაქის ცენტრისკენ.

რამ კაცირისა და შემოქმედებითი დუეტის - „ჰერტოგ ნადლერის“ პროექტი „პორტალი“ წარმო-

ადგენს დროში მოგზაური ხელოვნების მარშრუტს, რომლის ფარგლებშიც ყოველდღიური ცხოვრება და წარმოსახვითი სამყარო ერთმანეთს ენაცვლება. რამ კაცირს უნდა, რომ აუდიტორიამ შეიგრძნოს სოციალური თუ ფსიქოლოგიური მექანიზმები, არა უბრალოდ ხელოვნების ნიმუშის ჩვენების, არამედ კონკრეტული გამოცდილების მიღების გზით. პროექტ „პორტალის" ფარგლებში შეიქმნა ახალი ნიშნები, რომლებითაც გამოხატულია წარსულის მოგონებები. მხატვართა ნამუშევრის წყალობით თითოეული კონკრეტული ადამიანის თუ მოვლენის შესახებ მოგონება გარდაიქმნება ანონიმურ კოლექტიურ მეხსიერებად, რომელიც აისახება წარსულის, აწმყოსა და, გარკვეული ალბათობით, მომავლის მოვლენებზე.

თანამედროვე სახვით ხელოვნებას, კერძოდ კი საჯარო ხელოვნებას (public art), მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქალაქის იერის შექმნაში, საჯარო სივრცის პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებაში, კულტურული მემკვიდრეობის გაცნობიერებასა და ადგილობრივი კულტურული იდენტობის შენარჩუნებაში. პროექტ „პორტალის" ხელოვანები პირდაპირ მიმართავენ დამთვალიერებელს, ამყარებენ კომუნიკაციას მასთან და მოუწოდებს მას ციფრულ ერაში დროის ფენომენის გაცნობიერებისკენ, რა პროცესშიც არ ირღვევა კავშირი „არაციფრულ" და „ციფრულამდე არსებულ" კულტურებს შორის, ასევე მოსინჯულია შორეული წარსულის სხვადასხვა ასპექტი, დღევანდელობა და წარმოსახვითი მომავალი - თაობათა და ეპოქათა გზაჯვარედინი. თანამედროვე ხელოვნებაში მნიშვნელოვანია არა იმდენად წარსულის რეალობის ფაქტი, რამდენადაც მიზიდულობის წერტილი ან ორიენტირი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს დამთვალიერებლის მიერ ავტორის იდეის გაცნობიერების მექანიზმი, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოების ისტორიული მეხსიერების ჩამოყალიბებაში. პროექტი „პორტალი" ნათლად ადასტურებს, თუ რაოდენ ურთიერთდაკავშირებულია ადამიანთა ცხოვრება სხვადასხვა პერიოდში და როგორ ყალიბდება ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერება. თანამედროვე ხელოვნება აღადგენს წარსულს და ქმნის აწმყოს, როგორც ალტერნატიულ მხატვრულ რეალიებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Kenigsberg E., Curatorial Strategies in the Contemporary Visual Art of the Second Half of the 20th and Early 21st Centuries, Minsk, 2023.

ინტერნეტრესურსები:

- Hertog Nadler https://hertognadler.com/ 29/07/2025
- Portal|Art-Route Zwolle https://portalzwolle.nu/ 29/07/2025
- Ram Katzir https://www.ramkatzir.com/ 29/07/2025

THE *PORTAL* ART PROJECT (ZWOLLE, THE NETHERLANDS)—THE REPRESENTATION OF LOCAL CONTEXTS OF CONTEMPORARY ART THROUGH THE CREATION OF A TIME-TRAVELLING ART ROUTE

Ekaterina Kenigsberg

Keywords: *Ram Katzir, Portal, Zwolle, artist, site-specific, installation, project*

The article explores the *Portal* art project created in the public space of the city of Zwolle (Netherlands) in 2016-2021. The authors of the project, the artist Ram Katzir and the art duo Hertog Nadler directly address the viewer, establishing communication processes with them, involving them in the experience of time in the digital age, without breaking the link with "non-digital" and "pre-digital" cultures, exploring different aspects of the distant past, the modern present and the imagined future, the junctions of generations and eras.

The four-kilometre-long site-specific installation *Portal* is located in Zwolle in the Netherlands[1]. The project, which ran from 2016 to 2021, consists of a panoramic video installation at Zwolle train station, a series of sculptures on the way to the city center and a blue bronze line connecting the parts of the project. The author of the project was Ram Katzir, an Israeli artist living and working in the Netherlands[2]. The conceptual component of his works and projects is based on the comprehension of the theme of memory, taking into account historical and socio-cultural contexts, creating imaginary worlds that combine on equal terms the familiar and the unfamiliar, the tragic and the comic, the near and the distant, the past and the present. The project's interactive video installation was created by Ram Katzir in collaboration with the duo of Amsterdam-based artists Hertog Nadler: Chaja Hertog (Netherlands) and Nir Nadler (Israel)[3], who make sense of local histories, landscapes, myths and legends in their visual projects.

The artists acted as curators of their own project. This trend is quite typical for contemporary visual art and is actively used by authors of conceptual orientation who apply curatorial approaches in their artistic practices. The curatorial strategy of the project can be understood as a study of the current contexts of the present; the direction of the research problems is the representation of local contexts of contemporary art[4].

The *Portal* is a permanent art route where lives from different time periods intersect. There is no start or end point on this route, you can join it at any point along the way. Most visitors start their journey along the art route from Zwolle railway station, which itself is the starting and ending point of the passengers' journey. In the new tunnel connecting the various platforms underground, an LED screen is built into one of the walls. This is the panoramic interactive video installation *Time Tunnel* (2016, HD video with sound, 244 minutes, 192 x 528 cm).

More than 500 local people were chosen to film the *Time Tunnel* video in 2015, playing the roles of time travellers in different times, from the Middle Ages to the

1 Portal
2 Ram Katzir
3 Hertog Nadler
4 KENIGSBERG

present day. Thanks to this, almost every resident of Zwolle knows someone who can be seen in the film or who was involved in its production. This contributes to the cohesion of the local community, the involvement of Zwolle residents in the creation of contemporary artworks and the acceptance of the art route as a whole.

The video was filmed in the underground tunnel itself, making this passing point of the transit route the destination. The final film is over four hours long and consists of short clips that always have the same beginning and end and are played in random order, flowing seamlessly into each other. As a result, each viewer, seeing only a certain fragment of the video, goes through his or her own journey.

The key position of the video installation is the combination of the virtual and the real, the communication between passengers and characters located in the same space in parallel time coordinates. The video has neither beginning nor end; live pictures replace each other, the ancient combines with the modern, the current present with the imaginary or real past: modern residents of Zwolle going about their business, football fans in orange T-shirts, a picture from the late 1930s and early 1940s: Jews coming down the escalator with a yellow Star of David on their clothes and suitcases in their hands, going into eternal exile; ordinary passengers with medieval knights or Roman soldiers walking among them; a man and a woman on horseback; a man on an ancient bicycle with a huge front wheel; a shepherd driving a flock of sheep and children on skateboards; a group of Turkish women in characteristic clothing and a family of primitive people in equally characteristic clothing made of skins; radiant robots offering caffeine instead of coffee, etc.

In different places in the tunnel ceiling, the soundtrack of the film is played from built-in loudspeakers, mixed with the real sounds of the station and announcements of train arrivals and departures. The creators of the video wanted the soundtrack to include announcements they had invented, such as a prehistoric train being delayed by 5 years, or a Bronze Age train leaving track three in a few seconds, or a train not arriving due to a collision with a mammoth. However, the railway management company felt that such announcements would mislead passengers, so the full version of the soundtrack can only be heard on the *Portal* website and in audio scopes installed further along the art route.

The underground tunnel, a passage point for passengers who are always in a hurry to get to their trains, becomes not just a point of passage to their destination, but a portal to the meeting of generations and eras. The authors of the video installation understand it as a mirror that allows travellers to make a virtual journey through time: a person passing through the tunnel meets, as if in a mirror, all kinds of living people from the present, past and future.

The next point on the art route is opposite the station building and is called "Swol" (2021, antique brick, brass, glass, LEDs, sensor, 200 x 225 x 300 cm). It is an artificial hill covered in antique brick, with a narrow rectangular window built into it. Inside this hill is a typical underground railway platform, with vaulted ceilings and walls lined with characteristic white bricks. The rails emerge in a meandering line from around a bend and go around the next bend. On the grey concrete floor in the recesses of the station there are wooden benches and metal waste bins. A blue sign on the wall reads "Swol" in white sans serif font. The far parts of the platform are illuminated with blue LEDs. Everything is absolutely authentic, only in miniature. The work of art is literally and figuratively integrated into the environment. The station itself could look like this fifty or a hundred years ago, or even today.

The idea for this work is based on a historical fact. The city of Zwolle was built on a rounded hill in the middle of the marshes, the only place that was not flooded during river floods. Such a hill was called Soulle; the name was later transformed into Zwolle. The round shape of the artwork's artificial hill and its name are a reference to ancient times; the underground station is a reference to rumours of underground tunnels in the city.

The "City Seal" (2016, bronze, 10 x 250 x 220 cm) is the next stop on the art route. It is a huge round three-dimensional bronze relief embedded in the plane of the pavement at the intersection of two city streets – an image of the urban area from ancient times through the modernity of Google Maps to an imagined future. The outer circle of the relief features a text inscribed in Dutch, French, German, and Spanish, i.e. the four languages of the peoples who lived on this piece of land. It reads, "The Future Has a Long History."

The art route continues along the promenade and divides into two parts: right and left. At the end of each

part are *Audioscopes* (2016, mixed media, sound, 165 x 38 x 38 cm each sculpture) – two identical sound sculptures equipped with three trumpets, referring to wind musical instruments. The *Audioscopes* broadcast a kind of fragments of time. These are short music clips totalling about two hours, played back by activated sensors in random order. Each of the trumpets creates its own sound fragment. The lowest one broadcasts music from different time periods, from medieval ballads to artificially generated music, from Baroque masses to classical jazz compositions, from Rococo canzones to modern rhythms. The middle trumpet plays specially created stories and announcements (for example, about how Archangel Michael, the guardian angel of the city, protected Zwolle from a dragon or that a Bronze Age train was delayed due to a wild animal entering the tracks), music from films, newsreels and other archive material. The upper trumpet transmits poetry, prose and news from the city of Zwolle and its surroundings. The final cacophony forms a soundscape layering centuries and eras on top of each other, bringing together the past and the present. The viewer and listener certainly need more time to comprehend this point of the art route than others, which are simpler and easier to perceive.

The Blue Line (2016/2021), 393 metres long, connects all points of the art route. It is a meandering bronze strip with blue veins embedded in the pavement, interspersed with 19 bronze manholes with a diameter of 25-60 cm, depicting the spiral of a timeline winding deeper into the pavement. The names of the authors and the title of the project are inscribed along the outer diameter of the manholes. *The Blue Line* is inspired by old maps of the city of Zwolle and paintings depicting the waters of the River Aa, and is reminiscent of the river. It leads from the railway station to the city center.

The *Portal* project by Ram Katzir and the creative duo Hertog Nadler is a time-travelling art route where everyday life and an imaginary world alternate. Ram Katzir wants the viewer to become aware of social, societal or psychological mechanisms, not just by showing them a work of art, but by making them experience something. The *Portal* project has created new signs that capture the memory of the past, whereby the individual memory of each specific person or event has, through the work of the artists, been transformed into a collective, anonymous memory that is projected onto events of the past and present and possibly the future.

Contemporary visual art, in particular public art, makes an important contribution to shaping the image of the city, contributes to the formation of a positive image of public space, comprehension of cultural heritage and preservation of local cultural identity. The artists of the *Portal* project directly address the viewer, establishing communication processes with them, involving them in the experience of time in the digital age, without breaking the links with "non-digital" and "pre-digital" cultures, exploring various aspects of the distant past, the modern present and imagined future, the junctions of generations and eras. In contemporary art it is not so much the factor of the reality of the past that is important, but the point of attraction or reference that triggers the mechanism of the viewer's understanding of the author's idea, making an important contribution to the formation of the historical memory of society. The *Portal* project clearly demonstrates how people's lives are connected in different periods of time and how individual and collective memory is formed. Contemporary art recreates the past and creates the present as alternative artistic realities.

REFERENCES:

- Ekaterina KENIGSBERG. Curatorial Strategies in the Contemporary Visual Art of the Second Half of the 20th and Early 21st Centuries. Minsk: BSAA, 2023
- Ram Katzir https://www.ramkatzir.com/ (14/06/2024)
- Portal|Art-Route Zwolle https://portalzwolle.nu/ (12/06/2024)
- Hertog Nadler https://hertognadler.com/ (14/06/2024)

1. „პორტალი“: საგნობრივად ორიენტირებული ინსტალაცია ზვოლეს სადგურის წინ.
PORTAL, SITE-SPECIFIC INSTALLATION IN FRONT OF THE STATION ZWOLLE
Source: Portal | Art-Route Zwolle https://portalzwolle.nu/

2. სვოლ. Swol, ზედხედი ზვოლეს სადგურის წინ.
SWOL, TOP VIEW IN FRONT OF THE STATION ZWOLLE
Source: Portal | Art-Route Zwolle https://portalzwolle.nu/

3. სვოლ.
SWOL
Source: Portal | Art-Route Zwolle https://portalzwolle.nu/

4. ქალაქის ბეჭედი, 3-განზომილებიანი ბრინჯაოს რელიეფი.
CITY SEAL, THREE-DIMENSIONAL BRONZE RELIEF
Source: Portal | Art-Route Zwolle https://portalzwolle.nu/

5. ინსტალაცია „აუდიოსკოპი“.
AUDIOSCOPES,
INSTALLATION
Source: Portal | Art-Route Zwolle https://portalzwolle.nu/

6. დროის გვირაბი, ვიდეოს ეკრანის ანაბეჭდი.
TIME TUNNEL, VIDEO SCREENSHOT
Source: Portal | Art-Route Zwolle https://portalzwolle.nu/

7. დროის გვირაბი, ვიდეოს ეკრანის ანაბეჭდი.
TIME TUNNEL, VIDEO SCREENSHOT
Source: Portal | Art-Route Zwolle https://portalzwolle.nu/